ხელშეკრულება სახელმწიფო
შესყიდვის შესახებ N 243

ქ. თბილისი

31 დეკემბერი 2014 წლის

ერთის მხრივ, თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტი(შემდგომში„ შემსყიდველი“) წარმოდგენილი მისი გამგებლის ბესიკ წიკლაურის სახით, ხოლო მეორეს მხრივ ს.ს. „სილქნეტი“ (შემდგომში „მიმწოდებელი“), წარმოდგენილი მისი კორპორატიული დეპარტამენტის უფროსის გიორგი მირიანაშვილის სახით ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. გამოყენებული ტერმინების განმარტებები

ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი განმარტებები

1.1. ,,ხელშეკრულება“ –შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული ხელშეკრულება რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტაციით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნენები.

1.2. ,,ხელშეკრულების ღირებულება“ –საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.

1.3. ,,დღე“, ,,კვირა“ , ,,თვე“ –კალენდარული დღე, კვირა, თვე.

1.4. ,,მიმწოდებელი“ –პირი, რომელიც ახორციელებს მომსახურების მიწოდებას ამ ხელშეკრულების ფარგლებში.

1.5. ,,მომსახურება“ –წინამდებარე ხელშეკრულების მე–2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

2„ხელშეკრულების“ საგანი

2.1 წინამდებარე „ხელშეკრულების“ საფუძველზე, მისი პირობების და ტარიფების გათვალისწინებით „მომწოდებელი“ „შემსყიდველს“ სახელმწიფო შესყიდვების შესახებ „საქართველოს კანონის„ მე-10[1] მუხლის მე-3 პუნქტის „დ'' ქვეპუნქტის შესაბამისად უწევს გამარტივებული შესყიდვის საშუალებით ინტერნეტ მომსახურებას ADSL ტექნოლოგიით **(CPV-72400000)**, (შემდგომში „მომსახურება“). კონკრეტული „მომსახურების“ დეტალური აღწერა და „მომსახურების“ შესაბამისი ტარიფები მოცემულია წინამდებარე „ხელშეკრულების“ დანართის სახით, რომელიც წარმოადგენს ამ „ხელშეკრულების“ განუყოფელ ნაწილს.

3. მომსახურების გაწევის ვადები

3.1. „მიმწოდებელი“ ინტერნეტ მომსახურებას განახორციელებს 2015 წლის 01 იანვრიდან 2014 წლის 01მარტამდე.

4.„მომსახურების“ ღირებულება და ანგარიშსწორების წესი

4.1 ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს 360 (სამასსამოცი) ლარს.

4.2 ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ მომსახურებასთან დაკავშირებულ მიმწოდებლის ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს დამატებითი ღირებულების გადასახადის ჩათვლით.

4.3. „მიმწოდებლის “ მიერ „შემსყიდველისათვის“ მიწოდებული კონკრეტული „მომსახურების“ ღირებულება განისაზღვრება წინამდებარე „ხელშეკრულების“ დანართის საფუძველზე (შემდგომში „მომსახურების ღირებულება“).

4.4. თუკი სხვაგვარად არ არის განსაზღვრული შესაბამისი „მომსახურების“ დანართით, „მომსახურების ღირებულების“ გადახდა „შემსყიდველის“ მიერ უნდა განხორციელდეს, შესაბამისი საანგარიშო თვის მომდევნო თვის 25 რიცხვამდე.

4.5 „მხარეთა“ შორის ანგარიშსწორება წარმოებს ეროვნულ ვალუტაში, უნაღდო ანგარიშსწორების წესით „კომპანიის“ ქვემოთ მითითებულ ანგარიშზე გადარიცხვის გზით.

4.6. „მხარეები“ თანხმდებიან, რომ „მომსახურების ღირებულების“ ცვლილებები ხორციელდება „მიმწოდებლის“ მიერ ერთპიროვნულად და ცალმხრივად. ცვლილებები ძალაშია მისი საჯარო გამოცხადებიდან, ან/და „მიმწოდებლის“ ვებ–გვედზე განთავსებიდან ან/და „შემსყიდველისათვის“ შეტყობინებიდან 10 (ათი) სამუშაო დღის შემდეგ.

5. „მხარეთა“ უფლება–მოვალეობები

5.1. „მიმწოდებელი“ ვალდებულია:

5.1.1. „შემსყიდველს“ მიაწოდოს ხარისხიანი „მომსახურება“ წინამდებარე „ხელშეკრულებით“ განსაზღვრული პირობების შესაბამისად.

5.1.2. კეთილსინდისიერად და ჯეროვნად შეასრულოს ამ „ხელშეკრულებით“ გათვალისწინებული ვალდებულებები.

5.1.3. არ გაამჟღავნოს „შემსყიდველი“ პერსონალური ინფორმაცია გარდა კანონმდებლობით განსაზღვრული შემთხვევებისა ან/და როდესაც „შემსყიდველი“ დავალიანების გადახდა ხორციელდება მესამე პირთა მიერ.

5.2. „შემსყიდველი“ ვალდებულია:

5.2.1. სრულად და დადგენილ ვადაში გადაიხადოს „მომსახურების ღირებულება“.

5.2.2. „მომსახურების“ მიღების უფლების მესამე პირებზე გადაცემის შესახებ წერილობით შეატყობინოს „მიმწოდებელს“.

5.2.3. „მომსახურების“ მიწოდების ადგილად რეგისტრირებული უძრავი ქონების გასხვისების ან/და უძრავ ქონებაზე სარგებლობის უფლების შეწყვეტის შემთხვევაში, ერთი თვის ვადაში უზრუნველყოს „მომსახურებით“ სარგებლობის უფლების გადაცემა უძრავი ქონების ახალ მესაკუთრეზე ან მოსარგებლეზე (რომელიც „შემსყიდველს“ ჩაენაცვლება წინამდებარე „ხელშეკრულებაში“), ან/და წერილობით მოსთხოვოს „„მიმწოდებელს“ „მომსახურების“ მიწოდების მისამართის ცვლილება ან „მომსახურების“ მიწოდების შეწყვეტა ამ „ხელშეკრულების“ პირობების შესაბამისად;

5.2.4. ორი დღით ადრე წერილობით აცნობოს „მიმწოდებელს“ მისთვის არასასურველი „მომსახურების“ შეზღუდვის ან/და შეწყვეტის შესახებ.

5.2.5. აირჩიოს მისთვის სასურველი „მომსახურების“ პაკეტი.

5.2.6. შეატყობინოს „მიმწოდებელს“ დაზიანების შესახებ.

5.2.7. უზრუნველყოს შესაბამისი პირობები და მაქსიმალურად ხელი შეუწყოს „მიმწოდებელს“ „მომსახურების“ მოსაწყობად აუცილებელი სამუშაოების შესასრულებლად.

5.2.8. ჯეროვნად და კეთილსინდისიერად შეასრულოს ამ „ხელშეკრულებით“ ნაკისრი ვალდებულებები.

5.3. „მიმწოდებელი“ უფლებამოსილია:

5.3.1. მოსთხოვოს „შემსყიდველს“ „მომსახურების ღირებულების“ გადახდა და „ხელშეკრულებით“ გათვალისწინებული ვალდებულებების დროული და ჯეროვანი შესრულება.

5.3.2. „შემსყიდველის“ მიერ „ხელშეკრულების“ 5.2.2. და 5.2.3. პუნქტებით განსაზღვრული პირობის გამოუყენებლობის შემთხვევაში, მოსთხოვოს „შემსყიდველს“ მიღებული „მომსახურების“ საფასურის გადახდა და მის დადგენილ ვადაში გადაუხდელობის შემთხვევაში, „ხელშეკრულების“ შესაბამისად განახორციელოს „მომსახურების“ შეზღუდვა ან/და შეწყვეტა.

5.3.3. „შემსყიდველის“ მიერ 5.2.7 პუნქტით განსაზღვრული ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში ცალმხრივად შეწყვიტოს წინამდებარე „ხელშეკრულება“.

5.3.4. გამოიყენოს კანონმდებლობით მისთვის მინიჭებული უფლებები.

SILKNET JSC • 204555979 •

5.4. „შემსყიდველი“ უფლებამოსილია:

5.4.1. „შემსყიდველი“ ორი დღით ადრე გაკეთებული წერილობითი შეტყობინების საფუძველზე შეწყვიტოს წინამდებარე „ხელშეკრულება“;

5.4.2. მოსთხოვოს „მიმწოდებელს“ „ხელშეკრულებით“ გათვალისწინებული ვალდებულებების ჯეროვნად შესრულება;

5.4.3. გამოიყენოს კანონმდებლობით მისთვის მინიჭებული უფლებები.

6.მომსახურების მიღება–ჩაბარების წესი

6.1. მომსახურება მიღებულად ჩაითვლება მისი გაწევის შემდეგ წარმოდგენილი ანგარიშ-ფაქტურის საფუძველზე.

6.2. მომსახურების მიღებას აწარმოებს - მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი - ალნერი დარბაიძე.

7.„მომსახურების“ მიწოდების შეზღუდვისა და შეწყვეტის პირობები

7.1. „მიმწოდებლის“ მიერ „მომსახურების ღირებულების“ დადგენილ ვადაში გადაუხდელობის შემთხვევაში, „მიმწოდებელი“ უფლებამოსილია შეუზღუდოს ან/და შეუწვიტოს „შემსყიდველს“ „მომსახურება“ „ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში მომსახურების მიწოდებისა და მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ “რეგლამენტის“ (შემდგომში „რეგლამენტი“) შესაბამისად.

7.2. ნებისმიერი „მხარე“ უფლებამოსილია შეწყვიტოს წინამდებარე „ხელშეკრულება“ ორი დღით ადრე გაკეთებული წერილობითი შეტყობინების საფუძველზე, თუ მეორე „მხარე“ მნიშვნელოვნად არღვევს ამ „ხელშეკრულების“ პირობებს და თუკი ამგვარი დარღვევა არ გამოსწორდება „მხარის“ მიერ მეორე „მხარისათვის“ შეტყობინების გაგზავნიდან ორი დღის განმავლობაში.

7.3. ნებისმიერი „მხარე“ უფლებამოსილია შეწყვიტოს წინამდებარე „ხელშეკრულება“ იმ შემთვევაში თუ ა) „მხარე“ გახდება გადახდისუუნარო და ბ) „მხარის“ მიმართ აღიძვრება გაკოტრების ან/და ლიკვიდაციის პროცედურა. გ) მომსახურების გაწევის ვადის გასვლის შემდეგ.

7.4. წინამდებარე „ხელშეკრულების“ ნებისმიერი მიზეზით შეწყვეტისას „შემსყიდველი“ ვალდებულია 30 დღის განმავლობაში სრულად აუნაზღაუროს „მიმწოდებელს“ მის მიერ მიღებული „მომსახურების“ ღირებულება.

8.დაზიანების აღმოფხვრის პირობები და ვადები,

8.1 „მომსახურებასთან“ დაკავშირებული საჩივრებისა და პრეტენზიების განხილვა

დაზიანების აღმოფხვრა და „მომსახურებასთან“ დაკავშირებული საჩივრებისა და პრეტენზიების განხილვა ხორციელდება „რეგლამენტში“ მოცემული ვადების და პირობების შესაბამისად.

9. მხარეთა პასუხისმგებლობა

9.1. მიუხედავად ამ „ხელშეკრულების“ სხვა დებულებებისა, „მხარეები“ თანხმდებიან, რომ „კომპანიის“ პასუხისმგებლობის (რაც ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე მოიცავს, პირდაპირ თუ არაპირდაპირ ზიანს, ზარალს ან/და პასუხისმგებლობას) მაქსიმალური ოდენობა „შემსყიდველის“ წინაშე განისაზღვრება ამ „ხელშეკრულებით“ განსაზღვრული „მომსახურების“ ღირებულებით.

9.2. „მიმწოდებელს“ არ ეკისრება არანაირი პასუხისმგებლობა „შემსყიდველის“ მიერ „მომსახურების“ ან/და „ტექნიკური საშუალებების“ მეშვეობით მიღებულ ან/და გაგზავნილ (გატარებული) ინფორმაციაზე/მასალაზე.

SILKNET JSC 02 204566979

9.3. „მხარეები“ თავისუფლდებიან პასუხისმგებლობისგან ამ „ხელშეკრულებით“ გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობისთვის ან არაჯეროვანი შესრულებისთვის, თუ აღნიშნული შეუსრულებლობა/არაჯეროვანი შესრულება გამოწვეული იყო დაუძლეველი ძალით/გარემოებებით, რომელთა დადგომისას/არსებობისას „მხარე“, მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო, მოკლებული იყო შესაძლებლობას შეესრულებინა/ჯეროვნად შეესრულებინა ამ „ხელშეკრულებით“ გათვალისწინებული ვალდებულებები. აღნიშნულ დაუძლეველ გარემოებებს განეკუთვნება (მაგრამ არ შემოიფარგლება): ყველა სახის სტიქიური უბედურება მიწისძვრა, წყალდიდობა, ქარიშხალი, ქარბუქი და სხვა, ეპიდემია, პანდემია, სამოქალაქო არეულობა, აჯანყება, გაფიცვა, საბოტაჟი, ბლოკადა, საომარი მოქმედება, სამოქალაქო ომი, საჰაერო საგნის ზემოქმედება, საქართველოს კანონმდებლობაში მომხდარი ცვლილებები, „კომპანიის“ ავარიული სიტუაცია, თუ ეს ავარიული სიტუაცია შეიქმნა „კომპანიისგან“ დამოუკიდებელი მიზეზების გამო და სხვა (მესამე პირის ბრალეული ქმედება და სხვა) (ფორს-მაჟორული გარემოებები).

10.ტექნიკური საშუალებების გადაცემა და მათი გამოყენების წესი

10.1. „მიმწოდებელმა“ შესაძლოა მისი ამ „ხელშეკრულებით“ (შესაბამისი დანართებით) გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულების მიზნებისთვის დროებით სარგებლობაში გადასცეს ტექნიკური საშუალებები (შემდგომში „ტექნიკური საშუალებები“) და უზრუნველყოს ტექნიკური საშუალებების სათანადო მონტაჟი შემსყიდველთან.

10.2. „ტექნიკური საშუალებების“ შემსყიდველისათვის დროებით სარგებლობაში გადაცემა ხორციელდება და დასტურდება შესაბამის მიღება–ჩაბარების აქტზე (შემდგომში „მიღება-ჩაბარების აქტი“) მხარეთა ხელმოწერით. „მიღება–ჩაბარების აქტში“ აღნიშნული იქნება „ტექნიკური საშუალებების“ დასახელება. „ტექნიკური საშუალებების“ „მიმწოდებლისთვის“ გადაცემისას, „მიმწოდებელს“ ჩაუტარდება „ტექნიკური საშუალებების“ სათანადო გამოყენების (ექსპლუატაციის) ინსტრუქტაჟი. „მიღება–ჩაბარების აქტზე“ შემსყიდველის ხელმოწერა ადასტურებს, რომ:

(I) “შემსყიდველს” გადაეცა ტექნიკური საშუალებები ნივთობრივად უნაკლო მდგომარეობაში;

(II) “შემსყიდველისათვის” დამონტაჟდა „ტექნიკური საშუალებები“ და ისინი გამართულად მუშაობენ; და

(III)“აბონენტს” ჩაუტარდა “ტექნიკური საშუალებების” სათანადო გამოყენების (ექსპლუატაციის) ინსტრუქტაჟი და რომ “შემსყიდველმა” გაიგო და ზუსტად იცის “ტექნიკური საშუალებების” სათანადო გამოყენების (ექსპლუატაციის) წესები.

10.3. წინამდებარე „ხელშეკრულებაზე“ ხელმოწერით „მხარეები“ ადასტურებენ, რომ “ტექნიკური საშუალებები“ წარმოადგენენ „კომპანიის“ საკუთრებას. ამ „ხელშეკრულების“ ნებისმიერი მიზეზით მოშლის ან მისი მოქმედების სხვაგვარი შეწყვეტის შემთხვევაში, „აბონენტი“ ვალდებულია დაუბრუნოს „კომპანიას“ „ტექნიკური საშუალებები“ ამ „ხელშეკრულების“ მოქმედების შეწყვეტიდან 10 (ათი) კალენდარული დღის განმავლობაში, რაზედაც „მხარეთა“ მიერ ხელი მოეწერება შესაბამის მიღება–ჩაბარების აქტს. „ტექნიკური საშუალებების“ დაბრუნება ხორციელდება „კომპანიის“ ვებ-გვერდზე (www.silknet.com) მოცემულ კონკრეტულ სერვის-ცენტრ(ებ)ში. „ტექნიკური საშუალებების“ „აბონენტისგან“ მიღებამდე, „კომპანია“ ამოწმებს „ტექნიკურ საშულებებს“ და თუ „კომპანიას“ გაუჩნდება რაიმე პრეტენზია „ტექნიკური საშუალებების“ მდგომარეობის (დაზიანება/განაგდურება) გამო (ტექნიკური საშუალებების სათანადო გამოყენებით (ექსპლუატაციით) გამოწვეული ცვეთის გათვალისწინებით),

„აბონენტი“ ვალდებულია “კომპანიას” გადაუხადოს „ტექნიკური საშუალებების“ ის ღირებულება, რომელიც მითითებულია „ტექნიკური საშუალებების“ შესაბამის „მიღება-ჩაბარების აქტში“ (შემდგომში „ტექნიკური საშუალებების ღირებულება“). იმ შემთხვევაში თუ ამ „ხელშეკრულების“ მოშლის ან მისი მოქმედების სხვაგვარი შეწყვეტის შემთხვევაში, „აბონენტი“ არ დაუბრუნებს კომპანიას „ტექნიკურ საშუალებებს“ ამ „ხელშეკრულების“ მოქმედების შეწყვეტიდან 10 (ათი) კალენდარული დღის განმავლობაში, ჩაითვლება, რომ „ტექნიკური საშუალებები“ განადგურებული ან დაკარგულია და „აბონენტი“ ვალდებულია „კომპანიას“ გადაუხადოს „ტექნიკური საშუალებების ღირებულება“.

11. საინფორმაციო უზრუნველყოფა, ცვლილებების შეტანა და მარეგულირებელი კანონმდებლობა

11.1. "შემსყიდველს" „მომსახურებასთან" დაკავშირებული საკითხების გასარკვევად და შესაბამისი ინფორმაციების მისაღებად შეუძლია დაუკავშირდეს "კომპანიის" ცხელ ხაზს (100 200).

11.2. "ხელშეკრულებაში" ან/და მომსახურების წესში, ასევე ტარიფების ცვლილებები ხორციელდება "კომპანიის" მიერ ერთპიროვნულად და ცალმხრივად. ცვლილებები ძალაშია მისი "შემსყიდველისათვის" შეტყობინებიდან 10 (ათი) სამუშაო დღის შემდეგ. თუ "მიმწოდებელი" არ ეთანხმება ახალ პირობებს, მას უფლება აქვს აღნიშნული 10 (ათი) დღის განმავლობაში მოშალოს „ხელშეკრულება". აღნიშნულ ვადაში, „მიმწოდებლის" წერილობითი უარის მიუღებლობა ჩაეთვლება „შემსყიდველს" აქცეპტად და წინამდებარე „ხელშეკრულება" გაგრძელდება ახალი (შეცვლილი) პირობებით.

11.3. წინამდებარე "ხელშეკრულება" რეგულირდება და განიმარტება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

11.4. ამ "ხელშეკრულებასთან", ან მის ინტერპრეტაციასთან დაკავშირებული ნებისმიერი დავა ან უთანხმოება გადაწყდება "მხარეებს" შორის მოლაპარაკების გზით.

11.5. იმ შემთხვევაში, თუ "ხელშეკრულებასთან", ან მის ინტერპრეტაციასთან დაკავშირებული დავის ან უთანხმოების გადაწყვეტა ვერ მოხდება "მხარეებს" შორის ამგვარი დავის ან უთანხმოების წარმოშობიდან 20 (ოცი) დღის განმავლობაში, "მხარეები" კანონით დადგენილი წესით მიმართავენ სასამართლოს. ამასთანავე „მხარეები" თანხმდებიან, რომ დავასთან დაკავშირებით პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ ერთ-ერთი მხარის სასარგებლოდ მიღებული გადაწყვეტილება მიქცეული იქნება დაუყოვნებლივ აღსასრულებლად.

12. საერთო პირობები

12.1. „მომსახურების" გაწევა ხორციელდება სადემარკაციო წერტილამდე (ანუ იმ ვირტუალურ წერტილამდე, სადაც ხდება მხარეთა პასუხისმგებლობის გამიჯვნა).

12.2. „მიმწოდებელი" არ არის პასუხისმგებელი შემსყიდველის მიერ ქსელში გადაცემულ ინფორმაციაზე; მომსახურების ხარისხზე, თუ ხარვეზი გამოწვეულია „მიმწოდებლის" ლოკალური ქსელის გაუმართაობით; ვირუსული პრობლემებით ან/და თუ „შემსყიდველის" სუბიექტური მოლოდინი და მოთხოვნა აღემატება „ხელშეკრულებით" განსაზღვრულ „მომსახურების" ხარისხსა და მახასიათებლებს.

12.3. „შემსყიდველი" აცხადებს, რომ მის მიერ წარმოდგენილი მონაცემები, მათ შორის მისი რეკვიზიტები, სწორია.

12.4. შემსყიდველი აცხადებს და ადასტურებს, რომ გაცნობილია და ეთანხმება კომპანიის მომსახურების წესსა და ტარიფებს;

12.5. შემსყიდველი თანხმობას აცხადებს მის მიერ მითითებული პერსონალური მონაცემები შეყვანილ იქნას კომპანიის მონაცემთა ბაზაში;

12.6. თუკი სხვაგვარად არ არის განსაზღვრული შესაბამისი „მომსახურების" დანართით, ამ ხელშეკრულებით შემსყიდველი ყიდულობს „მომსახურებას" და მას საკუთრებაში არ გადაეცემა რაიმე ტექნიკური მოწყობილობა ან/და ნივთი, მათ შორის, ნუმერაციის რესურსი (ტელეფონის ნომერი), რომლის სარგებლობის უფლების მინიჭებაც ხდება შემსყიდველისათვის;

12.7. ახალი ან/და გაფართოებული „მომსახურების" გაწევის შესახებ „მიმწოდებელს" და „შემსყიდველს" შორის იდება დამატებითი ხელშეკრულება ან/და ფორმდება შესაბამისი „მომსახურების" დანართი.

SILKNET JSC • 204566973 • 02 სილქნეთი

12.8. წინამდებარე ხელშეკრულების ყველა დანართი წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს და მოქმედებს მასთან ერთად.

12.9. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე სამ ეგზემპლიარად და გადაეცემათ მხარეებს.

13. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

13.1 ხელშეკრულება ძალაშია 2015 წლის 01 იანვრიდან 2015 წლის 01 აპრილამდე.

შემსყიდველი:	მიმწოდებელი:
თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტი	ს.ს."სილქნეტი"
მის: ქ. თეთრიწყარო თამარ მეფის ქ. 34	მის: თბილისი, წინამძღვრიშვილის ქ. N: 95
ს/კოდი: 230869254	ს/ კოდი: 204566978
ა/ა GE02LB0120116397860000	ა/ა N: GE41BG0000000878415000
ს/ს „ლიბერთი ბანკი"-ს	ს/ს "საქართველოს ბანკი"
თეთრიწყაროს ფილიალი	
ბ/კ LBRTGE22	ბ/კ BAGAGE22
ბესიკ წიკლაური	გიორგი მირიანაშვილი
მუნიციპალიტეტის გამგებელი	კომერციულ დეპარტამენტის უფროსი

დანართი N1

,,აბონენტის" მიერ მისაღები ,,მომსახურებების" ჩამონათვალი

წინამდებარე დანართით და „ხელშეკრულებით"განსაზღვრული პირობებისა და ტარიფების შესაბამისად, „შემსყიდველის" „მიმწოდებლისგან" იღებს ქვევით მოცემულ „მომსახურებებს".

თუკი სხვაგვარად არ არის განსაზღვრული წინამდებარე დანართით:

1. „მომსახურების ღირებულება" მოიცავს საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ დამატებითი ღირებულების გადასახადს (დღგ-ს);
2. ,,მხარეთა" შორის ანგარიშსწორება ხორციელდება ლარში, შესაბამისი საანგარიშსწორებო თვის ბოლოს დღისათვის ოფიციალურად დადგენილი გაცვლითი კურსის შესაბამისად.

სატელეფონო ნომერი	სიჩქარე	მისამართი	ტარიფი
359222246	ADSL basic 1მბ	თეთრიწყარო, თამარ მეფის 35	60 ლარი
359222247	ADSL basic 1მბ	თეთრიწყარო, თამარ მეფის 35	60 ლარი
359222359	ADSL basic 1მბ	თეთრიწყარო, თამარ მეფის 35	60 ლარი

- **ADSL მომსახურების ღირებულების გადახდის პირობები**
- გადახდა ხდება მომსახურების მიღების შემდეგ, საანგარიშო თვის მომდევნო თვის 25 რიცხვის ჩათვლით.
- ინსტალაციის ერთჯერადი ღირებულების გადახდა ხდება მომსახურების პირველი თვის სააბონენტო გადასახადთან ერთად.
- **მომსახურების შეზღუდვის პირობები**
- მომსახურება იზღუდება მომსახურების ღირებულების გადახდის პირობის დარღვევის შემთხვევაში, გადახდის ვადის ბოლო დღის მომდევნო დღიდან.
- **ხელშეკრულების შეწყვეტის პირობები(წინამდებარე დანართით გათვალისწინებული მომსახურების ფარგლებში)**
- ხელშეკრულება ითვლება შეწყვეტილად, თუ აბონენტის მიერ არ მოხდება დავალიანების დაფარვა მომსახურების შეზღუდვიდან არასრული 8(რვა) თვის განმავლობაში.
- ხელშეკრულებითა და კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.
- **მომსახურების აღდგენის პირობები.**
- მომსახურების შეზღუდვიდან 8(რვა) თვის განმავლობაში ნებისმიერ დროს, ერთიან ანგარიშზე არსებული ყველა მომსახურებისათვის დარიცხული დავალიანების სრულად დაფარვისა და სატელეფონო მომსახურების აღდგენის საფასურის - 20(ოცი) ლარის გადახდის პირობით.
- **მოწყობილობების დაბრუნება**

  დავალიანების გამო ხელშეკრულების შეწყვეტისას:
- აბონენტი ვალდებულია დაუბრუნოს კომპანიას მისთვის დროებით სარგებლობაში გადაცემული ,,ტექნიკური საშუალებები" ,,ხელშეკრულების" შეწყვეტის თარიღამდე
- 5.2 აბონენტის ინიციატივით ხელშეკრულების შეწყვეტისას
- აბონენტი ვალდებულია დაუბრუნოს კომპანიას მისთვის დროებით სარგებლობაში გადაცემული ,,ტექნიკური საშუალებები" ,,ხელშეკრულების" შეწყვეტისთანავე.
- ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადაში ,,ტექნიკური საშუალებების" დაუბრუნებლობა ან მათი გაუმართავ მდგომარეობაში დაბრუნება ჩაირთვება ,,ტექნიკური საშუალებების" ,,აბონენტის" მიერ შესყიდვად, რისთვისაც მას დაერიცხება და გადასახდელი ექნება ,,ტექნიკური საშუალებების" ღირებულება, ,,ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისათვის ,,კომპანიის" ვებ-გვერდზე განთავსებული ინფორმაციის (ფასების) შესაბამისად.
- წინამდებარე დანართი წარმოადგენს მხარეთა შორის გაფორმებული ელექტრონული საკომუნიკაციო მომსახურების შესახებ ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

შემსყიდველი: მიმწოდებელი: